

ხელშეკრულება

(სესხის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები)

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: ა) გამსესხებელი - შპს „ფულიჯი ფინანსი“ (ს/ნ 406137826, მის: ქ. თბილისი, კრწანისის პირველი გასასველი #4, ელ. ფოსტის მის: info@fuli.ge; ბ) მსესხებელი - ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ ხელშეკრულებით (სესხის ხელშეკრულებით) გათვალისწინებულ მოთხოვნებს და გამსესხებლის მიერ ვებგვერდზე განსაზღვრულ პირობებს, რომელზეც გამსესხებელი გასცემს სესხს ამ ხელშეკრულების (სესხის ხელშეკრულების) პირობების შესაბამისად; გ) სესხის ხელშეკრულება - გამსესხებელსა და მსესხებელს შორის ელექტრონული ან სტანდარტული ფორმით დადებული ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სტანდარტულ პირობებს, ასევე გამსესხებლის ვებგვერდზე განთავსებულ სახელშეკრულებო პირობებს, სესხის ხელშეკრულების პირობებს (სესხის ხელშეკრულების სპეციალურ პირობებს) და რომლის დადებაზე ნების გამოვლენაც მსესხებლის მიერ, მისი შინაარსის გაცნობის შემდგომ, ხდება ელექტრონულად ან მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით (SMS-ის საშუალებით), ასევე USSD არხის (*300#) ან/და Android და iOS ოპერაციულ სისტემაზე მომუშავე მობილური აპლიკაციის საშუალებით (რაც ავტომატურად უთანაბრდება მსესხებლის ხელმოწერას და მსესხებელი იბოჭება მის მიერ ამ ფორმით გამოვლენილი ნებით). დ) ხელშეკრულების დადების შეთავაზება (მოწვევა ოფერტზე) - გამსესხებლის მიერ სესხის გაცემის პირობების საკუთარ ვებ გვერდზე განთავსება, ასევე სესხის გაცემის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის SMS-ის საშუალებით, ასევე USSD არხის (*300#), Android და iOS ოპერაციულ სისტემაზე მომუშავე მობილური აპლიკაციის საშუალებით ან/და ელექტრონული ფოსტის გაგზავნა, რომელიც არ წარმოშობს გამსესხებლის ვალდებულებას ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით; ე) განმცხადებლის რეგისტრაცია - გამსესხებლის ვებგვერდზე, ვებგვერდის, ტელეფონის ან/და სწრაფი გადახდის აპარატის ასევე Android და iOS ოპერაციულ სისტემაზე მომუშავე მობილური აპლიკაციის მეშვეობით პოტენციური მსესხებლის მიერ გამსესხებლის მხრიდან შემუშავებული ანკეტის შევსება, რომელიც მიზნად ისახავს სესხის აღებას ვ) პერსონალური კაბინეტი - გამსესხებლის ვებ გვერდზე, ასევე Android და iOS ოპერაციულ სისტემაზე მომუშავე მობილურ აპლიკაციაში პოტენციური მსესხებლისათვის (მსესხებლისათვის) გამოყოფილი სივრცე, სადაც აღირიცხება და შეინახება მსესხებლის პირადი, პერსონალური, დემოგრაფიული, ფინანსური, მსესხებლის მიერ დაგროვებული ბონუსების შესახებ ინფორმაცია, ასევე პერსონალურ კაბინეტში განთავსებული შეტყობინებების ზონის მეშვეობით გამსესხებლისაგან მიღებული საინფორმაციო ხასიათის და ნებისმიერი შეტყობინებები; პერსონალური კაბინეტით სარგებლობა შესაძლებელია პოტენციური მსესხებლის მიერ მხოლოდ რეგისტრაციის გავლის შემდეგ. ზ) სესხის განაცხადი - გამსესხებლის მიერ საკუთარ ვებ გვერდზე, USSD მენიუში, Android და iOS ოპერაციულ სისტემაზე მომუშავე მობილურ აპლიკაციაში, სწრაფი გადახდის აპარატ(ებ)ის სისტემაში განთავსებული ფორმა, რომელიც, სხვა მონაცემებთან ერთად, შეიცავს მითითებას სესხის ოდენობისა და ვადის შესახებ და რომლის ელექტრონულად შევსება (გაგზავნა) შესაძლებელია მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ, ვებ გვერდის, სწრაფი გადახდის აპარატების, ტელეფონის, მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS), USSD არხის (*300#) ან/და Android და iOS ოპერაციულ სისტემაზე მომუშავე

მობილური აპლიკაციის საშუალებით და მისი შევსება და დადასტურება წარმოადგენს მსესხებლის მიერ გამსესხებლისათვის გაკეთებულ ოფერტს წინამდებარე ხელშეკრულების (სესხის ხელშეკრულების) დადებაზე. თ) ოფერტი - მსესხებლის მიერ სესხის განაცხადის შევსება, რითაც დასტურდება მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულების (სესხის ხელშეკრულების) გაცნობის და გამსესხებლის მიერ შეთავაზებულ პირობებზე დათანხმების ფაქტი; ი) აქცეპტი - გამსესხებლის მიერ სესხის გაცემის შესახებ საპასუხო ნების გამოვლენა, რაც დასტურდება მსესხებლის პერსონალურ კაბინეტში შეტყობინების ზონაში შეტყობინების სახით სესხის არსებითი პირობების შესახებ ინფორმაციის გაგზავნითა და მსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის თანხის გადარიცხვით. სესხის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის თანხის გადარიცხვის მომენტიდან; კ) სესხის თანხა - თანხა, რომელიც გაიცემა მსესხებელზე და ექვემდებარება ამ უკანასკნელის მიერ გამსესხებლისათვის დაბრუნებას წინამდებარე ხელშეკრულებით (სესხის ხელშეკრულებით) გათვალისწინებული წესითა და პირობებით; ლ) პროცენტი (საკომისიო) - სარგებელი, რომელიც ერიცხება სესხის თანხას და რომლის გამსესხებლისთვის გადახდის ვალდებულებაც (სასყიდლის ფორმით) მსესხებელს წარმოეშობა სესხის თანხის დაბრუნებასთან ერთად; მ) პირგასამტეხლო - მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება, რომელიც გამოიყენება მსესხებლის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად და გადაიხდება მსესხებლის მიერ სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების ან ამ ხელშეკრულებით (სესხის ხელშეკრულებით) გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში. მსესხებელი აცნობიერებს, რომ პირგასამტეხლოს დარიცხვის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის გადახდის მიზნებისათვის, შესაძლებელია საჭირო გახდეს დარიცხული თანხის კორექტირება დამრგვალებით. დამრგვალება განხორციელდება 1 (ერთი) ლარამდე, რაზეც მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას; ნ) გამსესხებლის საბანკო ანგარიშები - გამსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიშები, რომელიც მითითებულია მის ვებგვერდზე, ; ო) მსესხებლის საბანკო ანგარიშები - მსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიშ(ებ)ი, რომლიდანაც განხორციელდა საცდელი გადახდა/გადახდები და რომელზეც გადაირიცხება სესხის თანხა იმის გათვალისწინებით, რომ რამოდენიმე საბანკო ანგარიშის გამოყენებით განხორციელებული საცდელი გადახდების შემთხვევაში სესხის თანხის გადარიცხვა მოხდება მხოლოდ იმ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საიდანაც განხორციელდა ბოლო საცდელი გადახდა, თუ არ მოხდა მსესხებლის მიერ პერსონალურ კაბინეტში ელექტრონულად ანგარიშსწორების ანგარიშის პრიორიტეტის შეცვლა; პ) იდენტიფიკაცია - მსესხებლის მიერ სასესხო განაცხადის შევსების შემდგომ გამსესხებლის ანგარიშზე სიმბოლური თანხის (1 თეთრი) გადარიცხვა ან/და eMoney.ge-ს სისტემაში რეგისტრირებული და იდენტიფიცირებული პირი-მსესხებლის მიერ მისი eMoney-ის საფულის ანგარიშის მითითება პერსონალურ კაბინეტში, რაც ავტომატურად ანიჭებს უფლებას გამსესხებელს გადაამოწმოს მსესხებლის პირადი (პერსონალური) ინფორმაცია საგადასახადო ორგანოში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, სს „კრედიტინფო საქართველოში“ ან/და ყველა ზემოაღნიშნული მსგავსი უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოში/პირთან ან გამსესხებლის მიერ ინფორმაციის სხვა საშუალებით გადამოწმება, მათ შორის ტელეფონით, რომლის მიზანია მსესხებლისა და მისი ანგარიშსწორების ანგარიშის იდენტიფიკაცია (გადამოწმება); ჟ) მიმდინარე დავალიანება - მსესხებლის მიერ გამსესხებლის წინაშე შესასრულებელი ფულადი ვალდებულება კონკრეტულ დროის შუალედში, რომელიც მოიცავს დაბრუნებას დაქვემდებარებულ სესხის თანხას, დარიცხულ პროცენტსა და პირგასამტეხლოს, ასანაზღაურებელი ხარჯების ჩათვლით; რ) სესხის დაბრუნების თარიღი - სესხის დაბრუნების ვადის ბოლო დღე, როდესაც მსესხებელს წარმოეშობა აღებული სესხის

უკან დაბრუნების ვალდებულება; ს) სესხის ვადა - გამსესხებლის ვებგვერდზე, USSD მენიუში, Android და iOS ოპერაციულ სისტემაზე მომუშავე მობილურ აპლიკაციაში, სწრაფი გადახდის აპარატ(ებ)ის სისტემაში ან/და მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში (SMS) მითითებული სტანდარტული ვადებიდან ერთ-ერთი, რომელიც მსესხებლის მიერ სასესხო განაცხადის შევსებისას მითითებულია ვებგვერდზე, USSD მენიუში, Android და iOS ოპერაციულ სისტემაზე მომუშავე მობილურ აპლიკაციაში, სწრაფი გადახდის აპარატ(ებ)ის სისტემაში ან/და მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში (SMS) და გამსესხებლის საპასუხო ნების გამოვლენით დადასტურებული; ტ) გამსესხებლის ვებგვერდი - www.fuli.ge; უ) პერსონალური კოდი (პაროლი) - მსესხებლისათვის გამსესხებლის მიერ მინიჭებული უნიკალური კოდი, რომელიც გამოიყენება მსესხებლის იდენტიფიცირებისათვის; ფ) სესხის გაცემის ფორმა - სესხის გაცემის დროს სესხის თანხა ჩაირიცხება მსესხებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, eMoney-ის საფულის ანგარიშზე ან NOVA-ს საფულის ანგარიშზე; ქ) სესხის მოთხოვნის ფორმები - სესხის მოთხოვნა შესაძლებელია შემდეგი არხების საშუალებით: კომპანიის ვებ გვერდი - www.fuli.ge, კომპანიის მოკლე SMS ნომერი: 91108, USSD არხი, Android და iOS ოპერაციულ სისტემაზე მომუშავე მობილური აპლიკაცია, სწრაფი გადახდის აპარატ(ებ)ის სისტემა, სატელეფონო სისტემა (კომპანიის ტელეფონის ნომერი 205 44 44), კომპანიის პარტნიორ(ებ)ის ვებ გვერდები.

2. ზოგადი დებულებები

2.1. სასესხო განაცხადის შევსებით მსესხებელი ადასტურებს, რომ: ა) არის ფიზიკური პირი 22-დან 65 წლამდე; ბ) გააჩნია სრული (შეუზღუდავი) ქმედუნარიანობა, არ იმყოფება ნარკოტიკული, ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ, არ იმყოფება შეცდომის, თაღლითობის, ზეწოლის, მუქარისა ან ნებისმიერი სხვა მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების ქვეშ და არ წარმოადგენს ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომაში შეყვანისა თუ სხვა აკრძალული მოქმედების ობიექტს გამსესხებლის ან ნებისმიერი მესამე პირის მხრიდან, სრულად აცნობიერებს საკუთარი ნების გამოვლენის შინაარსს და მისგან გამომდინარე სამართლებრივ შედეგებს; გ) აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე და ითვლება საქართველოს რეზიდენტად საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად; დ) არ აქვს შეუსრულებელი ან ვადაგადაცილებული სასესხო ვალდებულებები გამსესხებლის ან/და ნებისმიერი მესამე პირის მიმართ; ე) არ არის დარეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში; ვ) არ გააჩნია უარყოფითი საკრედიტო ისტორია და არარსებობს ისეთი ვალდებულებები, რომლებიც უარყოფითად აისახება მის გადახდისუნარიანობაზე; ზ) გაეცნო ამ ხელშეკრულების (სესხის ხელშეკრულების) პირობებს და ეს პირობები არის მისთვის მისაღები; თ) მის მიერ წარმოდგენილი ყველა მონაცემი არის ზუსტი.

2.2. მსესხებელი გამსესხებელს ანიჭებს უპირობო უფლებას მოიძიოს ინფორმაცია მსესხებლის შესახებ სს "კრედიტინფო საქართველო"-ს (204470740) საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში და ასევე მსესხებელთან დამატებითი შეთანხმების გარეშე მსესხებლის როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური (ნეგატიური ინფორმაცია გადაეცემა ვადაგადაცილებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ - ფიზიკური პირების შემთხვევაში და 60 დღის შემდეგ - იურიდიული პირების შემთხვევაში) ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველო“-ს, რაც იწვევს მსესხებლის აღრიცხვას კრედიტინფო საქართველოს

საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში, რომლის მიზანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მონაცემთა შეგროვება, გადამუშავება და გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია გადასახდელი/გადახდილი და გადაუხდელი სესხებისა და სხვა მიმდინარე, შესრულებული და შეუსრულებელი/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან, ასევე ბაზაში არსებული ინფორმაციის ანალიტიკური გადამუშავება კრედიტუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის. კრედიტინფო საქართველოს, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო ბიუროს უფლება აქვს მიღებული ინფორმაცია დაამუშავოს/გადაამუშაოს და გადასცეს მესამე პირებს, მონაცემთა სუბიექტის კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შეფასებისა და შემოწმების მიზნით.

გამსესხებელს უფლება აქვს მსესხებლის კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შემოწმების, მისთვის მომსახურების გაწევის, შეთავაზებისა და სხვა კანონიერი მიზნით, ძიებების რაოდენობის შეუზღუდავად მოიძიოს მსესხებლის შესახებ ინფორმაცია საკრედიტო ისტორიის მონაცემთა ბაზაში და ასევე, გადასცეს მასთან არსებული ინფორმაცია კრედიტინფო საქართველოს, მსესხებლის საკრედიტო ისტორიაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების შესახებ.

გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სესხის/ვალდებულების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის ოდენობასა და უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში - სასამართლო სამართალწარმოებისა და სააღსრულებო წარმოების შედეგს, აგრეთვე მსესხებლის აქციონერებისა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსლი პირების სახელებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს და მონაცემთა ბაზისთვის საჭირო სხვა მონაცემებს.

2.3. კლიენტი აცხადებს თანხმობას მისი პერსონალური მონაცემების დამუშავება(შენახვა) მოხდეს უვადოდ.

2.4. სასესხო განაცხადის შევსების შემდგომ, სესხის გაცემამდე, გამსესხებელი უფლებამოსილია მოიძიოს/გადაამოწმოს მსესხებლის მიერ მითითებული ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი, მათ შორის პერსონალური ინფორმაცია (მათ შორის, საგადასახადო ორგანოში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, სს „კრედიტინფო საქართველოში ან/და ყველა ზემოაღნიშნული მსგავსი უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოში/პირთან), რაზეც მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას. მსესხებელი აცნობიერებს, რომ მცდარი ინფორმაციის მიწოდება შესაძლოა გახდეს სესხის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

2.5. მსესხებელს უნდა გააჩნდეს აქტიური ანგარიში საქართველოში მოქმედ რომელიმე კომერციულ ბანკში.

3. სესხის განაცხადი და სესხის გაცემა

3.1. სესხის მისაღებად მსესხებელი გამსესხებლის ვებგვერდზე, Android და iOS ოპერაციულ სისტემაზე მომუშავე მობილური აპლიკაციის, ასევე ტელეფონის (მათ შორის მობილური ტელეფონის) საშუალებით გადის რეგისტრაციას (რეგისტრაციის

გავლისას მსესხებლის მიერ სახელშეკრულებო პირობების მიღება და მათზე დათანხმება ხდება ვებგვერდზე, ასევე Android და iOS ოპერაციულ სისტემაზე მომუშავე მობილური აპლიკაციის საშუალებით (ხოლო რეგისტრირებული პირის შემთხვევაში სახელშეკრულებო პირობების მიღება და მათზე დათანხმება ხდება ასევე სწრაფი გადახდის აპარატიდან, USSD არხის (*300#) მეშვეობით) ველის „გავეცანი და ვეთანხმები სესხის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს“ მონიშვნით ან/და მობილური ტელეფონით რეგისტრაციისას მსესხებლის მიერ ანკეტაში მითითებული მობილური ტელეფონის GSM ნომრიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით გამსესხებლის მოკლე ნომერზე: 91108) და რეგისტრაციის შემდგომ ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის „ქ“ პუნქტში მითითებული ნებმიერი ფორმით ავსებს / აკეთებს სესხის განაცხადს, რომელშიც მითითებულია სასურველი სესხის ოდენობა და ვადა, საკომისოს ოდენობა და სესხის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული საკომისოს გადახდის თარიღი, განაცხადის შევსებით და ველი „ვადასტურებ, რომ გავეცანი სესხის ხელშეკრულებას (მის სტანდარტულ და სპეციალურ პირობებს) და ვეთანხმები მას“ მონიშვნით მსესხებელი ადასტურებს, რომ გაეცნო წინამდებარე ხელშეკრულებისა (სესხის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებსა) და გამსესხებლის ვებგვერდზე განთავსებულ სესხის ხელშეკრულების პირობებს (სესხის ხელშეკრულების სპეციალურ პირობებს), ეს პირობები მისთვის მისაღებია და იგი ავლენს სესხის ხელშეკრულების დადების ნებას ამ პირობებით (აკეთებს ოფერტს).

3.2. სასესხო განაცხადის შევსების შემდგომ ხდება იდენტიფიკაცია (მსესხებლისა და მისი ანგარიშსწორების ანგარიშის იდენტიფიცირების მიზნით მსესხებელი ახდენს გამსესხებლის ანგარიშზე სიმბოლური თანხის (1 თეთრი) გადარიცხვას ან/და eMoney.ge-ს სისტემაში რეგისტრირებული და იდენტიფიცირებული პირი-მსესხებელი მისი eMoney-ის საფულის ანგარიშს უთითებს პერსონალურ კაბინეტში ან ხდება გამსესხებლის მიერ ინფორმაციის სხვა საშუალებით გადამოწმება).

3.3. იდენტიფიკაციის დასრულების შემდგომ გამსესხებელი იღებს გადაწყვეტილებას სესხის გაცემის თაობაზე. გამსესხებელი უფლებამოსილია, უარი თქვას სესხის გაცემაზე და აცნობოს ამის შესახებ მსესხებელს მსესხებლის პერსონალურ კაბინეტში შეტყობინების ზონაში შეტყობინების გაგზავნით. გამსესხებელი არ არის ვალდებული დაასაბუთოს სესხის გაცემაზე უარის მიზეზი(ებ)ი.

3.4. გამსესხებელი, სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, მსესხებლის პერსონალურ კაბინეტში შეტყობინების ზონაში შეტყობინების სახით აგზავნის ინფორმაციას სესხის არსებითი პირობების შესახებ და ახდენს სესხის თანხის მსესხებლის ანგარიშზე გადარიცხვას ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის „ფ“ პუნქტში მითითებული ფორმებით. გადარიცხვის მომენტიდან სესხი გაცემულად ითვლება.

3.5. მსესხებელს უფლება აქვს გამოიყენოს სესხი ნებისმიერი კანონიერი მიზნისათვის.

3.6. გამსესხებელი უფლებას იტოვებს, ცალმხრივად მოახდინოს პროცენტის (საკომისიოს) ან/და პირგასამტეხლოს შემცირება (დაგეგმილი აქციების ან სხვაგვარი სარეკლამო აქტივობების პერიოდში) და აღნიშნული ცვლილება არ საჭიროებს მხარეთა შორის დამატებით შეთანხმებას.

4. გადახდის პირობები

- 4.1. სესხის თანხა და პროცენტი (საკომისიოს) გადაიხდება სესხის ვადის ბოლო დღეს.
- 4.2. გადახდები ხორციელდება გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით შესაბამისი დანიშნულების მითითებით. მსესხებლის ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის მომენტიდან.
- 4.3. გადახდები ხდება სესხის თანხის ვალუტაში. სხვა ვალუტით თანხის გადახდის შემთხვევაში საბანკო დაწესებულების მიერ ავტომატურად განხორციელდება თანხის კონვერტაცია და მსესხებლის ვალდებულება გამსესხებლის წინაშე შესრულებულად ჩაითვლება კონვერტაციის შედეგად მიღებული თანხის მიხედვით (პროპორციულად) კონვერტაციის განმახორციელებელი ბანკის მიერ დადგენილი კონვერტაციის საკომისიოს (საფასურის) გამოკლებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ კონვერტირებული თანხა მთლიანად არ ფარავს მსესხებლის ვალდებულებას გამსესხებლის წინაშე, დარჩენილ ვალდებულებაზე - სესხის თანხაზე გაგრძელდება პროცენტისა (საკომისიოს) და პირგასამტეხლოს დარიცხვა სესხის ხელშეკრულების შესაბამისად.
- 4.4. მსესხებლის იდენტიფიცირების მიზნით, მსესხებელი ვალდებულია, უზრუნველყოს თანხის შეტანის დანიშნულებაში მსესხებლის სახელის, გვარის, პირადი ნომრის, მსესხებლისთვის მინიჭებული პერსონალური კოდის მითითება.
- 4.5. თუ გამსესხებელი იღებს გადახდას, რომლის ამოცნობა შეუძლებელია, ამოცნობის მომენტამდე მსესხებლის ვალდებულება გამსესხებლის წინაშე შესრულებულად არ ჩაითვლება და გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებელს დააკისროს პირგასამტეხლო ამ ხელშეკრულების შესაბამისად.
- 4.6. მსესხებლის მიერ გადახდილი თანხით პირველ რიგში იფარება პირგასამტეხლო (ასეთის დარიცხვის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული პროცენტი (საკომისიო), ასანაზღაურებელი ხარჯები და ბოლოს სესხის თანხა. თუ გადახდილი თანხა საკმარისი არ არის პროცენტისა (საკომისიო) და სესხის თანხის დასაფარად, გრძელდება პირგასამტეხლოს დაკისრება; მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას სესხის დაფარვის ზემოაღნიშნულ რიგითობაზე.
- 4.7. სესხი დაფარულად ჩაითვლება და სასესხო ურთიერთობა წყდება (ვალდებულების შესრულებით) გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის თანხის, მასზე დარიცხული პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პროცენტისა (საკომისიოს) და ასანაზღაურებელი ხარჯების შესაბამისი თანხის (არსებობის შემთხვევაში) სრულად ჩარიცხვის შემთხვევაში. თანხის ნაწილობრივი გადახდა არ ითვლება ვალდებულების შესრულებად და გრძელდება პირგასამტეხლოს დარიცხვა.
- 4.8. მსესხებელი უფლებამოსილია მოახდინოს სესხის ვადამდე სრულად დაფარვა. სესხის ვადამდე სრულად დაფარვის შემთხვევაში მსესხებელი იხდის სესხის თანხას და პროცენტს (საკომისიოს) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც პროცენტი (საკომისიო) გადასახდელი იქნებოდა სესხის დაბრუნების ვადის ბოლო დღისათვის. მსესხებელი არ არის ვალდებული აცნობოს გამსესხებელს წერილობით ან სხვა ფორმით სესხის ვადაზე ადრე დაფარვის შესახებ. ასეთი გადახდა ადასტურებს მსესხებლის სურვილს, განახორციელოს მთლიანი გადახდა ვადაზე ადრე.

5. ხელშეკრულების შეწყვეტა მსესხებლის ინიციატივით

5.1. მსესხებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს სესხის ხელშეკრულება მისი ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში, გამსესხებლის იურიდიულ მისამართზე ნოტარიალურად დადასტურებული წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

5.2. მსესხებელი ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტის შეტყობინებაში მიუთითოს შემდეგი ინფორმაცია: ა) გამსესხებლის სახელწოდება და იურიდიული მისამართი; ბ) მსესხებლის პერსონალური კოდი და პირადი ნომერი; გ) ინფორმაცია სესხის ხელშეკრულების შეწყვეტისა და ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე სესხის ვადაზე ადრე დაფარვის შესახებ; დ) იმ სესხის ხელშეკრულების უნიკალური ნომერი, რომლის ვადამდე შეწყვეტაც ხდება მსესხებლის ინიციატივით; ე) განცხადების შედგენის დრო და ადგილი; ვ) მსესხებლის სახელი და გვარი გარკვევით, ხელმოწერა.

5.3. თუ მსესხებელი გამოიყენებს 5.1. პუნქტით გათვალისწინებულ უფლებას, იგი ვალდებულია გადაიხადოს სესხის თანხა 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც გამსესხებელი მიიღებს წერილობით შეტყობინებას ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. მსესხებელი ასევე ვალდებულია გადაიხადოს პროცენტი (საკომისიო) სესხის გამოყენების ფაქტიური ვადის მიხედვით (სესხის სრულად დაფარვამდე) და ჯარიმა სესხის (ძირითადი თანხის) 10%-ის ოდენობით.

6. სესხის რესტრუქტურირაცია

6.1. გამსესხებელი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ მსესხებელს შესთავაზოს სესხის დაფარვის ინდივიდუალური გრაფიკი (ე.წ. სესხის რესტრუქტურირაცია). ასეთი გრაფიკის შედგენის საფასურის ოდენობა წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან; იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი დაეთანხმება რესტრუქტურირაციის პირობებს, იგი ვალდებულია გადაიხადოს გამსესხებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში დადგენილი შესაბამისი საფასური. აღნიშნული საფასურის გადახდა კლიენტს (მსესხებელს) შეუძლია როგორც ერთჯერადი გადახდის ფორმით, ასევე გრაფიკის თანახმად ყოველ გადახდაზე ნაწილ-ნაწილ. მსესხებელი აცნობიერებს, რომ გრაფიკზე დათანხმების შემთხვევაში, ამ უკანასკნელის გადახდის მიზნებისათვის, შესაძლებელია საჭირო გახდეს გრაფიკის შედგენის საფასურის კორექტირება დამრგვალებით.

დამრგვალება განხორციელდება 1 (ერთი) ლარამდე, რაზეც მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას; ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით აქვე დაზუსტებულია, რომ ინდივიდუალური გრაფიკის შემოთავაზება წარმოადგენს გამსესხებლის დისკრეციულ უფლებას და არა ვალდებულებას და მსესხებელს არ შეუძლია მოსთხოვოს გამსესხებელს ასეთი უფლების განხორციელება.

6.2. ამასთან, სესხის რესტრუქტურირაციის შემდეგ, სესხის დაფარვის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში მსესხებელს ეკისრება სანქციები გამსესხებლის მიერ დადგენილი წესით, კერძოდ:

გრაფიკის პირველ ჯერზე დარღვევისას მსესხებელს ეკისრება პირგასამტეხლო ვადის დარღვევის მომენტისათვის გადასახდელი თანხის 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხოლო გრაფიკის მეორედ დარღვევის შემთხვევაში სესხის

რესტრუქტურიზაცია მიიჩნევა ბათილად (სესხის დაფარვის გრაფიკი ითვლება გაუქმებულად) და მსესხებლის მიერ გადასახდელ თანხას ერიცხება პირგასამტეხლო სესხის რესტრუქტურიზაციის დღიდან.

7. სხვა სესხის მიღება

7.1. მიმდინარე სესხის ბოლომდე დაფარვის შემდგომ მსესხებელს აქვს გამსესხებლის ვებგვერდზე მოცემული სხვა (ახალი) სესხის მიღების შესაძლებლობა მიმდინარე სესხის დაფარვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის გასვლის შემდეგ.

7.2. ახალი სასესხო განაცხადის შევსებით მსესხებელი ეთანხმება სასესხო განაცხადის შევსების დღეს არსებულ პირობებს და აცნობიერებს, რომ ყველა შემდგომ აღებულ სესხზე გავრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები.

8. პასუხისმგებლობა

8.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევა იწვევს წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

8.2. მსესხებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებაში მოცემული ყველა პირობა და სრულიად აცნობიერებს გადახდების შეყოვნებასთან დაკავშირებულ შედეგებს.

8.3. მსესხებელი პასუხს აგებს გამსესხებლის წინაშე სესხის ხელშეკრულებაში მოცემული ინფორმაციის სიზუსტეზე და სისრულეზე, დარეგისტრირებისას მის ანკეტაში მითითებული ინფორმაციის სიზუსტეზე, ყველა იმ ინფორმაციის სიზუსტეზე, რომელიც მან გამსესხებელს მიაწოდა ხელშეკრულების დადებისას, დადებამდე ან დადების შემდგომ.

8.4. სესხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებელს დაარიცხოს პირგასამტეხლო რომლის ოდენობაც არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. რაც ნიშნავს იმას, რომ მხარეთა შორის პირგასამტეხლოს ოდენობა შეთანხმებულია იმ ნებისმიერ ოდენობაზე, რომელიც არ სცილდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრულ ზღვარს. ვადის გადაცილებისათვის დაკისრებული თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის დაფარვის ვალდებულებებისაგან.

8.5. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორით.

8.6. ფორს-მაჟორი არის მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი და უძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, მათ შორის მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

8.7. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი

ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.8. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

9.1. გამსესხებელი უფლებამოსილია დაამუშავოს მსესხებლის მონაცემები (შეგროვება, შენახვა, აღრიცხვა, დარეგისტრირება, გადაცემა და სხვა), ასევე გადასცეს მესამე პირს და მიიღოს მისგან მსესხებელზე ინფორმაცია. მესამე პირს შეიძლება ინფორმაცია გადაეცეს: ა) ბიზნესის გაყიდვის შემთხვევაში ან ბიზნესის წილის გაყიდვის შემთხვევაში; ბ) კანონის მოთხოვნის საფუძველზე; გ) საკრედიტო ისტორიის სააგენტოს (მაგ: სს „კრედიტინფო საქართველო“-ს), თაღლითობასთან მებრძოლ სააგენტოს ან სხვა მსგავსი ორგანიზაციას, რომელიც ცენტრალიზებულად იღებს ინფორმაციას ერთმანეთთან დასაკავშირებლად; დ) პრობლემური სესხების ამოღების გარე პარტნიორებს; ე) საპროცესინგო ან სხვა მესამე პირს, რომელიც გადახდის პროცესინგს უზრუნველყოფს, რაც აგრეთვე აუცილებელია მომსახურების გასაწევად.

9.2. სესხის ხელშეკრულებაზე დათანხმებით მსესხებელი ეთანხმება, რომ მისთვის სათანადო მომსახურების გაწევის მიზნით, ასევე გამსესხებლის საოპერაციო საქმიანობის, სესხის დაბრუნების/ამოღების ან სხვა დაკავშირებული მიზნებისათვის შესაძლოა მსესხებლის პირადი მონაცემები გამჟღავნებული იქნას როგორც მესამე პირებისათვის, ასევე გამსესხებლის შიდა პერსონალთან შეზღუდვის გარეშე.

9.3. ამ ხელშეკრულებით მსესხებელი გამსესხებელს ანიჭებს უპირობო უფლებას მსესხებლის შესახებ ინფორმაცია მსესხებელთან დამატებითი შეთანხმების გარეშე გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველოს“ (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეგისტრაციის #06/5-51) მონაცემების შემდგომი დამუშავების მიზნით, რაც იწვევს მსესხებლის აღრიცხვას სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში, რომლის მიზანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია გადაუხდელი სესხებისა და სხვა შეუსრულებელი/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან და ასევე ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გავრცელება ფიზიკური და იურიდიული პირების მიმდინარე და გადახდილი სესხების/ვალდებულებების შესახებ.

9.4. გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სესხის/ვალდებულების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში - სასამართლო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. გამსესხებელს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:
ა) მსესხებელი აგვიანებს გადახდას 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს; ბ) გამსესხებლისათვის ცნობილი

ხდება, რომ მსესხებლის მიმართ მიმდინარეობს სამართალწარმოება, რომლის შესაბამისად მსესხებელს შესაძლებელია დაეკისროს მატერიალური ხასიათის ვალდებულება, რომლის მოცულობაც აღემატება გაცემული სესხის თანხას, ან მსესხებელი მოხვდა მოვალეთა რეესტრში და მისი ვალი აღემატება სესხის თანხას ან/და მსესხებელი დაპატიმრებულია; გ) გამსესხებლისათვის ცნობილი ხდება, რომ სესხის ხელშეკრულების დადებისას მსესხებელმა მას მიაწოდა არასწორი ინფორმაცია; დ) მსესხებელი გახდა გადახდისუუნარო.

10.2. გამსესხებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს სესხის ხელშეკრულება, თუ დაკისრებული პირგასამტეხლო გადააჭარბებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას.

10.3. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია პირველი მოთხოვნისთანავე გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა გადასახდელი თანხა, სესხის (პირითადი) თანხის, დარიცხული პროცენტისა (საკომისიოს) და არსებობის შემთხვევაში პირგასამტეხლოსა და ასანაზღაურებელი ხარჯების ჩათვლით.

11. შეტყობინება

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეტყობინება მსესხებელს შესაძლოა გაეგზავნოს: ა) მის მიერ მითითებულ მისამართზე; ბ) ელექტრონული ფოსტის მისამართზე; გ) მობილურ ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით გ) მსესხებლის პერსონალურ კაბინეტში შეტყობინების ზონაზე შეტყობინების გაგზავნის ფორმით.

11.2. მსესხებლის მიერ მითითებულ მისამართზე შეტყობინების ჩაბარება შესაძლებელია ყოველდღე, 09:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ დროს შესაბამის მისამართზე არ იმყოფება არცერთი პირი ან პირი უარს აცხადებს შეტყობინების ჩაბარებაზე.

11.3. შეტყობინების ჩაბარების მიზნებისათვის უფლებამოსილ პირად ითვლება მსესხებლის მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირი მიუხედავად იმისა, წარმოადგენს ის თუ არა უშუალოდ მსესხებელს ან მისი ოჯახის წევრს. ამ პირისთვის შეტყობინების გადაცემა ითვლება მსესხებლისთვის შეტყობინების ჩაბარებად.

11.4. მსესხებელი ყოველდღე, 09:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე, უზრუნველყოფს ელექტრონული ფოსტითა და მობილური ტელეფონის საშუალებით შეტყობინების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ამ დროის განმავლობაში გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნის მომენტიდან.

11.5. 11.1 პუნქტით გათვალისწინებულ საშუალებებს შორის არჩევის უფლება აქვს გამსესხებელს. გამსესხებელი უფლებამოსილია შეტყობინების გაგზავნისათვის გამოიყენოს ერთ-ერთი, რამდენიმე ან ყველა საშუალება. ამასთან, ერთ-ერთი საშუალების გამოყენებით შეტყობინების ჩაბარება საკმარისია შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის და მსესხებელი არ არის უფლებამოსილი დაეყრდნოს იმ ფაქტს, რომ გამსესხებელმა ჩაბარების მცდელობა არ განახორციელა რამდენჯერმე ან რამდენიმე თუ ყველა საშუალებით.

11.6. მსესხებელი ადასტურებს, რომ თანახმაა გამსესხებელთან ელექტრონული ფორმით სესხის ხელშეკრულების დადების შემდგომ მიიღოს ანგარიშსწორება, ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია და მიმოწერა ელექტრონულად, დოკუმენტაციაზე პირდაპირი მექანიკური გზით ხელმოწერის გარეშე. მსესხებელი ინფორმირებულია, რომ გამსესხებლის მიერ წარდგენილი ანგარიში ატარებს საინფორმაციო ხასიათს და მისი მიუღებლობა არ

გულისხმობს სესხის თანხის, გადასახდელი პროცენტის (საკომისიოს) ან პირგასამტეხლოს გადახდისაგან მსესხებლის გათავისუფლებას. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი მოითხოვს კომპანიის მთავარი ბუღალტრის ხელმოწერილ და კომპანიის ბეჭდით დამოწმებულ ცნობას დავალიანების შესახებ, მიუხედავად იმისა აღნიშნული ცნობა გაიცემა მატერიალური თუ ელექტრონული ფორმით, იგი ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი საფასური - 20 (ოცი) ლარის ოდენობით. გადახდა უნდა განხორციელდეს გამსესხებლის (კომპანიის) საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

11.7. თუ იცვლება მსესხებლის მიერ მითითებული ანგარიში ან ხელშეკრულებაში მითითებული ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის საკონტაქტო მონაცემები, მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ გამსესხებელს და მიაწოდოს ყველა შეცვლილი ინფორმაცია. საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მსესხებლის საკონტაქტო მონაცემებზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება მსესხებლის მიერ მიღებულად.

11.8. 11.7 პუნქტით გათვალისწინებული, ასევე სხვა ნებისმიერი შეტყობინება გამსესხებლის მიერ მიღებულად ჩაითვლება, თუ ის შედგენილია წერილობით და ბარდება გამსესხებელს ელექტრონულ საფოსტო მისამართზე, გარდა იმ შეტყობინებისა, რომელიც ეხება მსესხებლის საბანკო რეკვიზიტების ცვლილებას, რომელიც გამსესხებელს უნდა ეცნობოს მსესხებლის ახალი (შეცვლილი) საბანკო ანგარიშიდან გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე 1 (ერთი) თეთრის გადმორიცხვის გზით. ამასთან, პერსონალურ კაბინეტში მსესხებლის შესახებ არსებული ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, შეცვლილი ინფორმაციის მიწოდება გამსესხებლისათვის უნდა მოხდეს პერსონალურ კაბინეტში შეცვლილი ინფორმაციის მსესხებლის მიერ ასახვის (დაფიქსირების) გზით.

11.9. თუ გამსესხებელმა მსესხებელს მის მიერ მითითებულ მისამართზე გაუგზავნა წერილობითი შეტყობინებები ვადაგადაცილების შესახებ ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა შეკვეთილი წერილები, მას აქვს უფლება მოითხოვოს მსესხებლისგან გაწეული ხარჯების ანაზღაურება, მაგრამ არაუმეტეს 10 ლარისა ერთი წერილისათვის.

11.10. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მსესხებელი აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ გამსესხებელმა გადასცეს მსესხებლის პერსონალური ინფორმაცია გამსესხებლის მიერ შერჩეულ საფოსტო-საკურიერო მომსახურების გამწევ კომპანიას მე-11 მუხლში აღნიშნული შეტყობინების მიწოდების მიზნებისათვის.

12. უფლებამონაცვლეობა

12.1. გამსესხებელი უფლებამოსილია, მსესხებლის თანხმობის გარეშე, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოთხოვნები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს.

12.2. მსესხებელი, გამსესხებლის წერილობითი თანხმობის გარეშე, არ არის უფლებამოსილი ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოთხოვნები გადასცეს ან ვალდებულებები გადააკისროს სხვა პირს.

12.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე.

13. დავების გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილის საფუძველზე.

14. სხვა პირობები

14.1. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი არღვევს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს სესხის დროულად დაფარვასთან მიმართებაში, გამსესხებელი იტოვებს უპირობო უფლებას მსესხებლის შესახებ ან/და მსესხებელთან დაკავშირებული გამსესხებლისათვის ცნობილი ნებისმიერი სახის ინფორმაცია გადასცეს გამსესხებლის მიერ შერჩეულ პრობლემური სესხების ამოღების გარე პარტნიორებს არსებული დავალიანების ამოღების მიზნებისათვის.

14.2. დაგვიანებული თანხის ამოღების შემთხვევაში ამოღების ხარჯებს ფარავს მსესხებელი, რაზეც მსესხებელი არის თანახმა. გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებელზე ინფორმაცია გადასცეს სხვა კრედიტორებს, მათი უფლებების დასაცავად.

14.3. მსესხებელი უფლებამოსილია, მიმართოს გამსესხებელს და მიიღოს გამსესხებლის ხელმოწერით დადასტურებული ხელშეკრულება.